

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

*ხელნაწერის უფლებით*

გიორგი კრავეიშვილი თამაზის ძე

**საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების და XVII-XIX  
საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური  
მუსიკის შესწავლის პრობლემები**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის -1007

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი**

**სპეციალიზაცია - ეთნომუსიკოლოგია**

თბილისი, 2018 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

**ნატალია ზუმბაძე**  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
პროფესორი

ექსპერტები:

**ნინო მაისურაძე**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, ეთნომუსიკოლოგი

**დავით შულღიაშვილი**  
მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი

**ივანე ქლენტი**  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება

**პარასკევს, 2018 წლის 12 ოქტომბერს, 16:00 საათზე**

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის  
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე N3.

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, *IV სართ. აუდ. 421*

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ვანო  
სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და  
კონსერვატორიის ვებ-გვერდზე: **[www.conservatoire.edu.ge](http://www.conservatoire.edu.ge)**

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი

**ეკა ჭაბაშვილი**  
სამუსიკო ხელოვნების დოქტორი  
ასოც. პროფესორი

# საქართველოს მოწვევითი კუთხეების და XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები

## შესავალი

ჩვენებურების<sup>1</sup> მუსიკალურ ფოლკლორზე ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თითო-ორი სტატია და ჩანაწერი თუ მოგვეპოვებოდა. ვფიქრობ, ამის უმთავრესი მიზეზი საქართველოს ისტორიულ მხარეებსა და მუჰაჯირებში ექსპედიციების სიმწირე იყო. სწორედ ამიტომ 2010 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორზე. 2011-2017 წლებში ლაზეთის (ჭანეთის), ტაოს, კლარჯეთის, შავშეთისა და საინგილოს (ჰერეთის) სოფლებში ჩავატარე ექსპედიციები<sup>2</sup>. ამ მასალებს დაეფუძნა ჩემი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები, მოხსენებები სხვადასხვა კონფერენციაზე, ახლა კი – სადოქტორო ნაშრომიც. ჩვენებურებთან დაკავშირებული მასალებით 2011 წლიდან დღემდე გამოვდივარ მოხსენებებით სხვადასხვა კონფერენციებზე, 2012 წლიდან კი ვბეჭდავ წერილებსა და სტატიებს.

სადისერტაციო ნაშრომის **კვლევის ობიექტია** ტაოური, კლარჯული, შავშური, ლაზური, თურქეთის აჭარული, ინგილოური, ფერეიდნული და ყიზლარულ-მოზდოკური ხალხური მუსიკა. კვლევის **საგანს** წარმოადგენს როგორც ვოკალური, ისე ინსტრუმენტული შემოქმედება.

**კვლევის მიზანია** ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ანალიზი.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის სხვადასხვა **მეთოდი**: ისტორიული, შედარებითი, აღწერითი, კომპლექსური, სისტემური, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური, დიაქრონიული, სინქრონიული.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი **ამოცანებია**:

- თითოეულ კუთხისა თუ დასახლების მუსიკალური ფოლკლორის ცალკე გაშუქება;
- თითოეული ნიმუშის შესრულების გარემოსა და სოციალური ფუნქციის ჩვენება;

<sup>1</sup> ვსარგებლობ ახმედ ოზქან მელაშვილის ტერმინით, რომელიც აღნიშნავს საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს.

<sup>2</sup> ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად ხშირად მივმართავ ლაზეთისა და საინგილოს ძველ სახელწოდებებს.

- საკრავების დამზადების წესისა და რეპერტუარის აღწერა;
- სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზების ძიება;
- ქართული ხალხური სიმღერის გაერთხმიანების გზაზე მსჯელობა;
- ფარული მრავალხმიანობის განხილვა;
- ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის საერთო ნიშან-თვისებების

დადგენა;

• იმ ნიშნებისა თუ გარემოებების გამოვლენა, რომლებიც ჩვენებურების მუსიკალურ ფოლკლორზე ახდენს გავლენას.

ნაშრომის უმთავრეს **მეცნიერულ სიახლეს** წარმოადგენს:

- ტაოური და კლარჯული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების ფიქსირება;

- ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის დიალექტოლოგიის დღეისათვის სრული სურათის წარმოჩენა;

- ლაზურ, შავშურ და ინგილოურ მუსიკაზე აქამდე არსებული მონაცემების გამდიდრება;

- სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზების ძიება;

- შეხედულება მრავალხმიანი სიმღერის გაერთხმიანების გზის შესახებ.

ნაშრომის **ძირითადი საფუძველია** საკუთარი საექსპედიციო მასალა. ასევე ვიყენებ სხვათა ჩანაწერებს და გამოცემულ ხმოვან ნიმუშებს. ნოტირებული მაგალითების გარკვეული ნაწილი ჩემ მიერვეა ჩაწერილი ან გაშიფრული (ზოგჯერ – ორივე ერთად). დისერტაციაში ვეყრდნობი სხვადასხვა დარგის სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას (მათ შორის, ისტორიულსა და ეთნოლოგიურს).

**თემის აქტუალურობა:** საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების ხალხური მუსიკა ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში საგანგებო კვლევის საგანი აქამდე არ ყოფილა. არადა, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის გამო, სწრაფად იცვლება საზოგადოების ტრადიციული აზროვნება და ცხოვრების წესი. ძველის დავიწყების პროცესში უდიდეს როლს თამაშობს ტექნიკური პროგრესი. ამ პირობებში, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველების კულტურული თვითმყოფადობის შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

**პრობლემის შესწავლის დონე:** მოცემული საკითხი ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ნაკლებად იყო შესწავლილი (უმთავრესად, სარფელი და ყიზლარ-მოზდოკელი ქართველების სიმღერები).

ნაშრომის ღირებულებას წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების დაფიქსირება და შესწავლა. ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია სალექციო კურსებსა და სამეცნიერო კვლევაში. მას პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, რადგან ხმოვანი დანართი მდიდარი მასალაა შემსრულებლებისთვის.

დისერტაცია დააინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე მომიჯნავე დარგების მეკვლევრებსა და ფოლკლორის მოყვარულებს.

**კვლევის ძირითადი შედეგები:**

- საქართველოს მოწყვეტილი თითოეული კუთხის მუსიკალური ფოლკლორის მთავარი ნიშან-თვისებების დადგენა;
- ჩვენებურების ფოლკლორის საერთო მუსიკალური მახასიათებლების გამოვლენა;
- საქართველოს მოწყვეტილი თითოეული კუთხის ხალხური მუსიკის დიალექტური კუთვნილების დადგენა და შესაბამისად, ქართული მუსიკალური დიალექტოლოგიის დღეისათვის სრული სურათის წარმოჩენა;
- კლარჯული და მესხური მრავალხმიანი სიმღერების საფუძველზე, ქართული სიმღერის გაერთხმიანების გზის გამოვლენა;
- ლაზური და შავშური მრავალხმიანი სიმღერების მომსწრეთა გარდაცვალების პერიოდის დადგენა.

**ნაშრომის სტრუქტურა:** დისერტაცია მოიცავს შესავალს, სამ თავსა და დასკვნას. ერთეის: გამოყენებული ლიტერატურის, ფილმებისა და ექსპედიციების სიები; დისკოგრაფია; აუდიო, სანოტო, ვიდეო და ფოტო დანართები; საკუთარ ექსპედიციებში ჩაწერილი მთქმელებისა და სოფლების სიები.

შესავალში საუბარია კვლევის საგანზე, მიზანსა და ობიექტზე, ნაშრომის ძირითად ამოცანებზე, მეცნიერულ სიახლესა და საფუძველზე, თემის აქტუალურობასა და პრობლემის შესწავლის დონეზე, ნაშრომის ღირებულებაზე, სტრუქტურასა და კვლევის შედეგებზე.

პირველ თავში „ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ფიქსირებისა და შესწავლის ისტორია“ წარმოდგენილია ნუსხა ჩვენებურებთან ჩატარებული ექსპედიციებისა და განხილულია მათი მუსიკალური ფოლკლორის შესახებ არსებული ძირითადი თუ დამხმარე ლიტერატურა, ასევე მიმოხილულია ის რადიო-ტელევიზიები, მუზეუმები და არქივები სადაც შესაძლოა ყოფილიყო სადისერტაციო მუსიკალური მასალა.

მეორე თავი „ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ზოგადი მიმოხილვა“ მოიცავს ცხრა ქვეთავს. ნაშრომის ამ ნაწილში ცალ-ცალკეა შესწავლილი ქართველთა თითოეული დასახლების – კლარჯელების, ტაოელების, შავშელების, ჭანების, ჰერელებისა და ასევე, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ქართლებებისა (ყიზლარ-მოზდოკური) და თურქეთში მცხოვრები აჭარლების – ხალხური მუსიკა (სიმღერებში ხმათა რაოდენობა, შემორჩენილი ჟანრები, სასიმღერო და საკრავიერი რეპერტუარი, საკრავები და მათი დამზადების წესები). აქვე მოკლედ ვეხები მესხურ და ფერეიდნულ მუსიკასაც.

მესამე თავი „სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზები და ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ძირითადი ნიშან-თვისებები“ შედგება ათი ქვეთავისაგან. ნაშრომის ამ ნაწილში დიდ ადგილს იკავებს მრავალხმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები: განხილულია მრავალხმიანი ქართული სიმღერის გაერთხმიანების გზა და მრავალხმიანობის დაკარგვის შესაძლო მიზეზები; დადასტურებულია ფარული მრავალხმიანობის არა მარტო არსებობა, არამედ მისი დიდი ხვედრითი წილი. აქვე მიმოხილულია ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ ენასთან ადგილობრივი მრავალხმიანი საკრავიერი მუსიკის შესაბამისობის საკითხი, შემორჩენილი ჟანრები. შესწავლილი მასალის საფუძველზე დადგენილია მუსიკალური დიალექტები და დასაბუთებულია ამა თუ იმ კუთხის ფოლკლორის ცალკე დიალექტად გამოყოფის აუცილებლობა.

დასკვნებში შეჯამებულია კვლევის ძირითადი შედეგები.

ჩემ მიერ სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული ნიმუშების დიდი ნაწილი ყოფაში აღარ სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიმუშები ხანდაზმულ ეთნოფორთა მეხსიერებას კარგად შემოუნახავს, მათ წარსულ დროში ვახსენებ. აწმყო დროში საუბარი მაქვს მხოლოდ იმ ნიმუშებზე, რომლებიც დღესაც სრულდება (ან შესაძლოა სრულდებოდეს).

ჩვენებურებთან ერთად განვიხილავ საქართველოში მდებარე ორიოდე ლაზური და ინგილოური სოფლის მუსიკალურ მასალასაც.

დაბოლოს, მინდა განსაკუთრებული მადლობით მოვიხსენიო: კახის რაიონის სოფელ დიდ ბინაში დაბადებული ფილოლოგი მართა ტარტარაშვილი (თარხნიშვილი), როგორც ჰერეთსა და დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. სამთაწყაროში ჩატარებული ექსპედიციების ხელმძღვანელი (2011-13 წლები); სარფელი ჭანები – ნაზი მემიშიში და 2015 წელს გარდაცვლილი ზურაბ ვანილიში, რომლებთან ერთადაც 2014 წელს სარფსგაღმა (ანუ გაღმა

ლაზეთში) ორი ექსპედიცია ჩავატარე; ასევე – თამაზ კრავეიშვილი – 2014-17 წლების ჭანეთის, შავშეთის, ტაოსა და კლარჯეთის ჩემი ექსპედიციების სპონსორი, ფოტო-ვიდეოოპერატორი და მძღოლი; ბიზნესმენი მერაბ ფაშალიშვილი, რომელთან ერთადაც თურქეთის ლაზეთში 2012 წელს რამდენჯერმე ვიყავი.

## თავი I

### ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ფიქსირებისა და შესწავლის ისტორია

2010 წლამდე ჩვენებურთაგან ყველაზე მეტად დაფიქსირებულ-შესწავლილი იყო ლაზური და ყიზლარსა და მოზდოკში მცხოვრები ქართლებების მუსიკალური ფოლკლორი. ამ უკანასკნელთა ხალხური მუსიკა კახურის (და არა ქართლურის) ნაწილად იყო მიჩნეული.

ჩვენებურთა თითოეული დასახლება ცალ-ცალკეა განხილული. ჩამოთვლილია ექსპედიციები, რომლებშიც ფიქსირებულია ერთი მუსიკალური ნიმუში მაინც. ზოგიერთ კუთხეში ამგვარი ექსპედიცია საკმაოდ ბევრია, ზოგში კი – ცოტა. დღეს სხვადასხვა ქვეყანაში (თურქეთი, საბერძნეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი) ქართველებით დასახლებული რეგიონებიდან პირველ რიგში ვეხები შედარებით მეტად ჩაწერილსა და შესწავლილს, შემდეგ კი – იმათ, რომლებიც ამ მხრივ უფრო ნაკლებად არის ცნობილი.

ექსპედიციების ჩამონათვალს მოსდევს კრიტიკული მიმოხილვა იმ მუსიკოლოგიური თუ სხვა ტიპის ლიტერატურისა, რომელშიც ჩვენებურთა ხალხურ მუსიკას გარკვეული ადგილი მაინც ეთმობა. აღნიშნულია თბილისსა თუ რეგიონებში არსებული ის მუზეუმები, არქივები თუ რადიო-ტელევიზიები, რომლებშიც მუსიკალური მასალები შეიძლება ყოფილიყო დაცული, თუმცა, უმეტესად არ აღმოჩნდა.

## თავი II

### ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ზოგადი მიმოხილვა

ეს თავი წარმოადგენს საქართველოს ისტორიული კუთხეების (კლარჯეთი, ტაო, შავშეთი, ლაზეთი, ჰერეთი და აჭარის მცირე ნაწილი) და XVII-XIX საუკუნეებში თურქეთსა და ირანში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის კვლევას. იგი ადასტურებს, რომ ჩვენებურები ხშირად თურქულ ან აზერბაიჯანულ ენებზე მღერიან, თუმცა მუსიკალურად ეს სიმღერები ქართული ნიმუშებია უცხო ტექსტით.

ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორიდან თავდაპირველად განხილულია იმ კუთხეების ხალხური მუსიკა, რომლებზეც ჩემ მიერ ჩატარებულ მუსიკალურ-ფოლკლორულ ექსპედიციებამდე არანაირი მასალა არ მოიპოვებოდა. ასეთებია კლარჯეთი და ტაო.

#### 2.1 კლარჯეთი

კლარჯული სიმღერები ერთ და ორხმიანია. ორხმიანებს ახასიათებს სეკუნდური პარალელიზმი, რაც ქართული მუსიკისთვის ორგანული არ არის. სეკუნდურ სიმღერებს მღერიან არამარტო კლარჯეთში მცხოვრებნი, არამედ 1870-1910-იან წლებში ამ კუთხიდან თურქეთის შუაგულში მუჰაჯირად წასულთა შთამომავლებიც.

სასიმღერო ფოლკლორი ჟანრულად დარიბია. გავრცელებული იყო ორხმიანი საშაირო სიმღერა „სოფლე რუმდანადანა“ (მითხარი, რა დარდები გაქვს). ასევე პოპულარული იყო სეგდიანი ლირიკული სიმღერები, ე.წ. დესთანები, რომლებიც კლარჯულ სოფლებში ლაზების დასახლების შედეგად უნდა გაჩენილიყო.

ქორწილის ტრადიციული რიტუალი, ეთნოფორთა თქმით, 30-35 წელია, რაც აღარ შესრულებულა. საქორწინო სიმღერებიდან გვხვდებოდა „გელინო“ – სასიძოს სახლში მაყრიონის შესვლისას სათქმელი სიმღერა (ჩავწერე 2015-17 წწ.).

მურდულისწყლის ხეობასა და ამ ხეობიდან წასულ მუჰაჯირებში დავაფიქსირე საქორწინო სუფრული სიმღერა „ჰეამოლა“ („ჰეამო“/„ჰელესა“), რომელიც სრულდებოდა სასურველი სურსათ-სანოვაგის მოთხოვნის დროს როგორც თურქულ, ისე ქართულ ენებზე (ჩავწერე 2015-17 წწ.).

ბორჩხის ერთ ნაწილში ამ დროს იმღერებდნენ სიმღერას „ელესა მამული/მამალი ქოსა“, რომელიც მუსიკალურად განსხვავდება „ჰეამოლასგან“ (ჩავწერე 2015-17 წწ.). „ჰეამოლას“ გარდა, მუჰაჯირი კლარჯები მღეროდნენ



სიმღერას „მაშალა, მაშალა“. იგი სრულდებოდა ქორწილში ხარის ან მოზერის გამოყვანისა და დაბმის დროს (ჩავჭერე 2017 წ.).

ძველით ახალ წელს გამურული, ნიღბებმორგებული, გოგოდ გადაცმული ბიჭები კარდაკარ ჩამოივლიდნენ და საჩუქარს ითხოვდნენ სიმღერით „ენი გელდი ილბაში“ (მოვიდა ახალი წელი). ვფიქრობ, ეს ნიმუში და მთელი რიტუალი ტრანსფორმირებული „ალილო“ და ალილოზე სიარულის რიტუალი უნდა იყოს. ამას ადასტურებს მასში შემორჩენილი ელემენტები (ნიღბები, კარდაკარ ჩამოვლა, მილოცვა, სურსათის თხოვნა). საყურადღებოა, რომ პუბლიცისტ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, 1840 წლამდე მურღულელები ფარულად ქრისტიანობდნენ, 1870-იან წლებამდე კი პატარა ბიჭები „ალილოსაც“ ამბობდნენ.

ამგვარ რიტუალს ასრულებდნენ გოლჯუქის რაიონის სოფელ დოშემეში მცხოვრები მურღულელები. ისინი მუსულმანური ერთოვანი მარხვის, რამაზანის ბოლო დღეებში, შუაღამეს დაუღითა (დოლი) და სიმღერით დაივლიდნენ სოფელს, ხალხს ააყენებდნენ და ტკბილეულს, სიმინდს, ფულს მოითხოვდნენ (ჩავჭერე 2017 წ.).

ქალთა რეპერტუარიდან შემორჩენილია აკვნის ნანები. როგორც აღნიშნავენ, ძირითადად ბავშვს ბებია უმღერებდა. დღეს უფრო მეტად თურქულენოვანი ნანები იმღერება (ჩავჭერე 2015-17 წწ.).

საყურადღებოა 2015 წელს ჩემ მიერ დაფიქსირებული, ქართული მუსიკალური ფოლკლორისთვის, სავარაუდოდ, აქამდე უცნობი ნიმუში, რომელსაც ქალი რძის გაშრობის შემთხვევაში ამბობდა.

2015-17 წლებში ჩავჭერე ქალების წართქმით და ხმით ტირილები.

ძირითადი საკრავი აკორდეონი იყო (ზოგიერთი გარმონს, „აკორდსა“ და „მუზიყასაც“ უწოდებს), თუმცა მასზე ყველა სოფელში არ უკრავდნენ. კლარჯული დასაკრავებია: „ქოჩეგი“, „დუხხორომი“ (სწორხაზოვანი ზომიერი ტემპის ხორუმი), „დელიხორომი“ (სწრაფი ხორუმი), „პატარძლის ყაიდე“ (პატარძლის ჰანგი), „ართვინბარი“/„ათაბარი“ და სხვ. მუჰაჯირი კლარჯები კი ცეკვისას ძირითადად „ვოჰოჰოის“ მღეროდნენ (ჩავჭერე 2017 წ.).

კლარჯეთში ფიქსირებული დასაკრავების ნაწილში შესამჩნევია „ქართული მრავალხმიანობაც“<sup>3</sup>. მხედველობაში მაქვს მარტივი კადანსი (I-VII-D).

<sup>3</sup> ვგულისხმობ ქართული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელ მრავალხმიანობას.

მთხრობელთა გადმოცემით, დაული, კავალი და გუდასტვირი აკორდეონზე უფრო იშვიათი იყო (ჩავჭერე 2015-17წწ.); დაულ-ზურნის ანსამბლს კი მხოლოდ კლარჯული ზეპირსიტყვიერება ახსენებს, ისიც – გლოვასთან დაკავშირებით. ჩემს ექსპედიციებში მხოლოდ აკორდეონისა და კავალის ჩაწერა შეეძელი.

საკრავების (ძირითადად, სალამურების) დამზადება ბავშვებსაც სცოდნიათ. მათი დამზადების წესები საქართველოს მოწყვეტილ ყველა კუთხეში დავაფიქსირე. საყურადღებოა ცნობა ორი სალამურის ერთ საკრავად არსებობის შესახებ (ჩავჭერე 2016 წ.). ასეთი საკრავი მრავალდეროიანი სალამურის საბავშვო ვარიანტად უნდა ჩაითვალოს.

## 2.2 ტაო

ტაოური სიმღერები ერთხმიანია, ჟანრულად – უკიდურესად მწირი. ძირითადად მოვახერხე აკვნის ნანებისა და სახუმარო სიმღერების დაფიქსირება. იციან აგრეთვე ტყიდან ხის მორების გამოსატანი „ელესა“, წართქმით დატირება (ჩავჭერე მხოლოდ ერთი ნიმუში) და სიმღერა „ჯილგელო“. რეჟისორ გიორგი კალანდიას ჩაუწერია გუდასტვირზე („ტიკზე“)<sup>4</sup> დაკრული, თამარ მეფის სადიდებელი ჰანგი (იხ. მის ფილმში „ერთი ჭოროხის შვილები“).

საფერხულო-საცეკვაო ნიმუშები „ტიკზე“ სრულდება. ესენია: „ჯილგელო“, „მამაკაცების ფერხული“, „პატარძლის გამოსაყვანი ჰანგი“.

დღევანდელ „ტიკზე“ ორივე მხარეს ხუთ-ხუთი თვალია ამოჭრილი, ვინაიდან ამ საკრავს ტაოელები (შავშელების მსგავსად) ლაზებისგან ყიდულობენ. თურქი ეთნომუსიკოლოგის, აბდულაჰ აკატის ცნობით, იუსუფელის რაიონის ქართულ დასახლებაში თულუმის თვლების რაოდენობა იყო 1/5, ხოლო არაქართულ დასახლებებში – 3/5. ვინაიდან თვლების ტოლი რაოდენობა ხელს უწყობს ჰანგის გაერთხმიანებას, ამიტომ ვფიქრობ, რომ ძველ „ტიკზე“ შესრულებული ჰანგები უფრო მეტად ორხმიანი, „ქართული ხასიათის“ იქნებოდა.

ძველად სცოდნიათ „ტიკზე“ დასამღერებელი ჰანგებიც (უფრო – თურქულენოვანი) და საფერხულოც (ჩავჭერე 2014 წ.). რაც შეეხება სალამურს, მასზე დამკვრელი ვერ მოინახა.

<sup>4</sup> „ტიკი“ გასიებულს ნიშნავს, საკრავს ამიტომაც დარქმევია.

ინტერნეტ-რესურსებში, „ტიკის“ გარდა, იპოვება დოლი და ზურნა, თუმცა, ტაოელთა ცნობით, ისინი „მეთურქულე“ (თურქულენოვან) სოფლებშია გავრცელებული (ჩავჭერე 2014).

### 2.3 შავშეთი

მთელ შავშეთში ქართული ენა მხოლოდ იმერხევის ხეობამ შეინარჩუნა. ამიტომ ამ ქვეთავში ხშირად ვახსენებ იმერხევს.

შავშური სიმღერა დღეს ერთხმიანია, თუმცა მოგზაური დიმიტრი ბაქრაძე, 1874 წელს აღწერს პატარძლის გამოსაყვან მრავალხმიან ნიმუშს.

მუსტაფა უზუნის (გამეშიძე) ცნობით, მის ახალგაზრდობაში, 1960-70-იან წლებში, მაჭახლურ სიმღერებს იმერხეველები დასცინოდნენ იმის გამო, რომ მრავალხმიანი იყო, რადგან მათი აზრით, ერთხმიანი სიმღერაა ღამაზი (ჩავჭერე 2014 წ.).

განსაკუთრებით ბევრია ლირიკული და სახუმარო ნიმუში. ქორწილთან დაკავშირებული სიმღერები სრულდება უმეტესად აკორდეონის („მუზიყის“) თანხლებით (ადრე გუდასტვირი – „ჭიბონი“ ახლდა), თურქულ ენაზე, მხოლოდ რამდენიმე ქართული სტროფით.

აკუნის ნანების გარდა, 2014 წელს დავაფიქსირე ბავშვის გამოსადვიძებელ-გასამხნევებელი ჰანგი. იგი სრულდება მაშინ, როცა ყმაწვილი მოთენთილი იღვიძებს. ამ დროს, რომ არ იტიროს, ხელში აყავთ, ახტუნავენ და აცეკვებენ (ასამებენ).

სასიძოს სახლში მაყრიონის შესვლისას „მუზიყის“ (ძველად – „ჭიბონის“) თანხლებით თურქულ ენაზე სრულდება „გელინ ბუირუმ“ (პატარძალო, მობრძანდი). ამას მოჰყვება ინსტრუმენტული მგზავრულ-მაყრული „იოლ ყაიდეს“ (გზის ჰანგი) სახელწოდებით (ასევე ეძახიან „ჯეზაირსაც“). ზოგ ეთნოფორს „იოლ ყაიდეს“ და „დოდოფალი მოყავან“ ერთი და იგივე ჰგონია, სინამდვილეში კი ისინი განსხვავებული ჰანგებია – „დოდოფალი მოყავან“ სიძის ეზოში მაყრიონის შესვლისას იმღერება და მოსდევს „იოლ ყაიდეს“ (ჩავჭერე 2014 წ.).

საქორწინო სუფრაზე მაყრების დასხდომისას სრულდება სუფრული – სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი სიმღერა „მოლა, მოლა“ („მოლა“ ამ შემთხვევაში ახლადდაქორწინებულის მამაა) (ჩავჭერე 2014 წ.).

ყანაში, დაღლილი მშრომელების გასახალისებლად მეჭიბონეს იწვევდნენ (ჩავჭერე 2014 წ.). შრომის სიმღერებიდან ასევე დავაფიქსირე ძროხის წველის ნიმუში. ეთნოფორთა ცნობით, იაილებში (იალაღებში) წასვლის დროს

მდეროდნენ „იაილების სიმღერას“. ჩემ მიერ ჩაწერილი ასეთივე ნიმუშის ტაოური ვარიანტი და მისი შედარება შავშურთან მაფიქრებინებს, რომ არც შავშური ვერსიაა წმინდა შრომის სიმღერა – იგი უფრო შრომის მგზავრულ ნიმუშთა კატეგორიას მიეკუთვნება.

საისტორიო თემატიკის ამსახველი ნიმუშებიდან 2014 წელს მხოლოდ ერთი თურქულენოვანი ნიმუში დავაფიქსირე თამარ მეფეზე, სხვა ეთნოფორებმა კი დამიდასტურეს ასეთი სიმღერის არსებობა. ჩაწერილი ნიმუში მუსიკალურად ლირიკულის კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს – ამ მელოდიაზე მრავალი სიმღერა იმღერება. საყურადღებოა მ. უზუნის ცნობა ქალაქ ართვინში ცეკვა „თამარას“ არსებობის შესახებ, რომელსაც იმერხევის სოფლებში „შემორბენილად“ უწოდებენ.

მიცვალებულს უმეტესად ყურანს უკითხავენ, ამიტომ ძნელი აღმოჩნდა ტრადიციული დატირების ფიქსირება, თუმცა 2014 წელს ჩავწერე როგორც წართქმით, ისე ხმით ნატირალი.

საკულტო სიმღერებიდან შემორჩენილია „ნაზარი“. ნაზარობა იგივე ლაზარობაა, მხოლოდ მას ბავშვები ასრულებენ და სიტყვიერი ტექსტი თურქული ან თურქულ-ქართული აქვს. „ნაზარის“ გარდა, სრულდება წმინდა ქართულენოვანი ნიმუშებიც – „ბზევ (მზეო – გ.კ.), გამოი“, ან პირიქით „გამოი, ნისლო“. არის სხვადასხვა შელოცვაც.

ბავშვთა რეპერტუარის სხვა ნიმუშები თითქმის არ შემორჩენილა. 2014 წელს დავაფიქსირე მხოლოდ „აიწონა-დაიწონას“ თამაშის დროს შესასრულებელი ჰანგი.

შავშური სიმღერების დიდი ნაწილი, როგორც წესი, „მუზიყის“ თანხლებით სრულდება. ამ საკრავზე შესრულებული მუსიკა ქართული ხალხური მრავალხმიანობის ნორმებში ვერ ჯდება. მასში იშვიათად თუ გამოკრთის ჩვენი მუსიკისთვის დამახასიათებელი ზემოხსენებული მარტივი კადანსი. იგივე მდგომარეობაა გარმონთან დაკავშირებითაც.

ადრე შავშებს გარმონისა და „მუზიყის“ მაგივრად „ჭიბონი“ ჰქონიათ. ჩემ მიერ ფიქსირებულ ორ ახალგაზრდა მეჭიბონეს საკრავი ლაზებისგან ჰქონდა შექმნილი. მასზე აუღერებულ ჰანგებში სჭარბობს ერთხმიანობა, ვინაიდან ორივე მხარეს ხუთ-ხუთი თვალი აქვს, ძველ შავშურ „ჭიბონზე“ კი თვლების რაოდენობა 1/5 ან 3/5 ყოფილა. იმერხეველები „ჭიბონზე“ დამკვრელს „ჭიბონჯის“ უწოდებენ, აკორდეონზე/მუზიყაზე დამკვრელს კი – „აკორდეონჯის“ (ზოგჯერ, „მუზიყაჯის“, თუმცა ამ სიტყვას, ჩვეულებრივ, მუსიკოსის მნიშვნელობით უფრო იყენებენ) (ჩავწერე 2014 წ.).

„ჭიბონს“ ენათმეცნიერი ნიკო მარი „ჭიბოსაც“ უწოდებს. მისი თქმით, სოფელ ტბეთში ქართულად აღარ ლაპარაკობენ, თუმცა საკრავის ნაწილებს ქართული სახელები ჰქვია. მეცნიერი აღნიშნავს „ჭიბონის“ ზურნით შეცვლის ფაქტსაც.

ინტერნეტრესურსების მიხედვით, შავშეთის არაქართულენოვან სოფლებში „ჭიბონთან“ ერთად გავრცელებულია დაულ-ზურნაც, რომლებზე დასაკრავებიც ქართულისგან ძირფესვიანად განსხვავდება.

შავშეთისთვის დამახასიათებელი ცეკვებია: „შემორბენილა“, „დართულა“, „გაზრომილა“, „ბაზგირულა“ და სხვ. მათ დღეს უმეტესად „მუზიყაზე“ ასრულებენ, ადრე კი „ჭიბონზე“ უკრავდნენ.

## 2.4 ლაზეთი (ჭანეთი)

ჭანური სიმღერა ერთხმია. სარფის სიმღერები კი 1960-70-იანი წლების მიჯნაზე გაამრავალხმიანეს მუსიკის მასწავლებლებმა, რომლებიც ადგილობრივები არ იყვნენ.

ჩემ ხელთ არსებული ცნობებით, 1910-იან წლებში ლაზური სიმღერების ნაწილი ორხმია იყო. კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილის თქმით, მას და ეთნომუსიკოლოგ გრიგოლ ჩხიკვაძეს 1951 წელს მოუსმენიათ კვინტებისა და კვარტების პარალელიზმით გაჯერებული რამდენიმე ნიმუში (ცნობა ჩავწერე 2016 წ.).

ჭანური სიმღერა ჟანრულად არცთუ მდიდარია, თუმცა ჩვენებურებით დასახლებული კუთხეებიდან ლაზეთი ერთადერთია, სადაც „ჰელესას“ გარდა, გვხვდება ყანის თოხნის „ჰედამო“. ყანაში ტყიდან ხის მორების გამოტანის დროს „ჰელესას“ ზოგჯერ გუდასტვირიც („გუდა“) ახლდა. ნადის ტრადიციული რიტუალი წარსულს ჩაბარდა.

ჭანური სიმღერა სევდიანი ლირიკული სიმღერების (დესთანების) სიჭარბით გამოირჩევა. ისინი სრულდება როგორც საკრავის გარეშე, ისე საკრავით (ქამანხით). ლაზური მუსიკალური ფოლკლორი მეგრულს სევდიანი ლირიკული სიმღერების სიჭარბით ჰგავს.

გაღმა ლაზეთში ნანის გახსენება უჭირთ, თუმცა რამდენიმე ნიმუშის ფიქსირება მაინც მოხერხდა (ჩავწერეთ მე, ზურაბ ვანილიშმა და ნაზი მემიშიშმა 2014 წ.). საქართველოში მცხოვრებმა ჭანებმა კი ამავე წელს ჩამაწერინეს ჩემთვის მანამდე უცნობი ნიმუში „ოკანწულე ვამელა“ (ჰამაკიდან არ გადავარდე) – „ბავშვს ჰამაკში არწევ და ასე უმღერი, რომ დაიძინოს“. ზოგიერთი ცნობით, ეს ცალკე სიმღერაა, სხვა ცნობებით კი ნანის ნაწილია

ან საერთოდ არ იმღერება. ჩემი აზრით, ეს ბავშვის დაძინებასთან დაკავშირებული, მაგრამ მაინც ცალკე მუსიკალური ნიმუშია. იგი თავისი საცეკვაო ხასიათით არ ჰგავს ლაზურ აკვნის ნანებს და მელოდიურადაც საკმაოდ განსხვავებულია.

ჭანური ხალხური მუსიკა მდიდარია ბავშვთა მიერ სათქმელი ნიმუშებით.

სამგლოვიარო ნიმუშების დიდი ნაწილი ხმით ტირილებია („სერსითე მგარინი“/„კორეცხალა მგარინი“). მიცვალებულს მხოლოდ ქალები დასტირიან. ტირიან მორიგეობით – ჯერ ერთი, შემდეგ მეორე და ა. შ. (ჩავწერეთ მე, ზ. ვანილიშმა და ნ. მემიშიშმა 2012, 2014 წწ.).

ქორწილის რიტუალში ყველაზე გავრცელებულია სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი სუფრული „თირამოლა“/„ჰეამოლა“. მას, სხვა კუთხეების მსგავსად, მღერიან როგორც მამაკაცები, ისევე – ქალებიც; შესაძლებელია შესრულდეს საკრავითაც. საინტერესოა, რომ სიმღერა არის როგორც თურქულენოვანი, ისე შერეული – თურქულ-ლაზური.

„წულო ბოზო“ (ქალწულო) და „ჭუტა ნუსა“ (პატარა რძალი) იმღერებოდა ქორწილში პატარძლის გამოყვანის დროს. 2014 წელს მე და ნაზი მემიშიშმა ჩავწერეთ პატარძლის გამოსაყვანი სიმღერები „გუდის“ თანხლებით. მრავლადაა საცეკვაო ნიმუშები, რომლებიც ქორწილსა და სხვადასხვა თავყრილობაზე სრულდება.

ჭანურ მუსიკაში გვხვდება შემდეგი საკრავები: ჩასაბერები – „პილილი“, კავალი, „გუდა“ და ხემიანი ქამანჩა. „პილილი“ და კავალი ერთხმიანი საკრავებია. ისინი ნაკლებადაა გავრცელებული. ქამანჩა და „გუდა“ მრავალხმიანია.

„გუდა“ ერთადერთი საკრავია, რომელმაც დღემდე შემონახა ქართული მრავალხმიანობა. იგი გვხვდება არამარტო მუსლიმან ლაზებში, არამედ ე. წ. „პონტოელ ბერძნებშიც“ (გაბერძნებული ქრისტიანი ჭანები), რომელთა დიდი ნაწილი 1923 წლიდან საბერძნეთში ცხოვრობს.

დღეს ლაზურ გუდასტვირზე თვლების რაოდენობაა 5/5, თუმცა პონტოს ბერძნების გუდასტვირებზე დაყრდნობით ვვარაუდობ, რომ ადრე ლაზური გუდასტვირის თვლების რაოდენობა 3/5 ან 1/5 უნდა ყოფილიყო. კლარჯი ემრულა ქესქინქურთის ცნობით, გუდასტვირზე ჭანური მუსიკის დასაკრავად ორ თვალს გასანთლავდნენ (სანთლით ამოქოლავდნენ) (ჩავწერე 2016 წ.). შესაბამისად, 5/5-თვლიან გუდასტვირზე მიიღებოდა 3/5 თვალი.

ლაზურ „გუდას“ პონტოს ბერძნები „ცაბოუნას“ (Tsabouna) უწოდებენ. რაც შეეხება „გაიდას“ (Gayda/Gaida), იგი ევროპული, მათ შორის, ბერძნული საკრავია.

მელიზმებისა და ერთხმიანობის დომინირების მიუხედავად, „გუდაზე“ დასაკრავები ქართული ხალხური მრავალხმიანი მუსიკის კანონზომიერებებს ეფუძნება. ამავეს ვერ ვიტყვი სამსიმიან ქამანჩაზე, რომლის ჰანგებიც პარალელური კვარტების დადმაგალი მოძრაობით (განსაკუთრებით, საკადანსო საქცევებში) ჩვენი მუსიკის ნორმებს საკმაოდ შორდება. პარალელური კვარტების სიჭარბეს საკრავის კვარტებით აწყობა უნდა იწვევდეს. აღსანიშნავია, რომ გუდასტირისგან განსხვავებით, ქამანჩის ნაწილების ლაზური შესატყვისები თითქმის არ მოგვეპოვება. ეს ყველაფერი კი ამ საკრავის არაქართულობას მავარაუდებინებს. იგი თურქული, ან უფრო ბერძნული საკრავი შეიძლება იყოს. თუმცა, წათე ბაწაშის აზრით, გამორიცხული არ არის ბერძნულ-ქართული ნაზავიც.

ლაზური ქამანჩა განსხვავდება ამ საკრავის ცნობილი სახეობისგან. იგი მხოლოდ სამსიმიანია, აქვს ბრტყელი, მოგრძო ფორმის მუცელი, მოკლე ტარი და სწორი ჯორაკი.

ჭანურ საკრავებზე იკვრება ლირიკული და საცეკვაო ნიმუშები. ასეთებია „ფააჩქული“, „წარიშკა“ და სხვ.

## 2.5 მესხეთი

მესხეთის დიდი ნაწილი 1829 წლიდან დედასამშობლოშია. თურქეთის ფარგლებში მოქცეული ნაწილის მუსიკალური ფოლკლორის შესახებ არაფერია ცნობილი, ამიტომ მესხურს გაკვრით ვეხები.

საქართველოს მოწყვეტილი სხვა კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორთან მესხურის შედარებისას გვხდება რამდენიმე პარადოქსი, სახელდობრ:

- ლაზურ გუდასტირზე დღემდე ქართული მრავალხმიანობა უდერს, მესხურზე კი მისი ნიშანწყალიც არ იგრძნობა;

- მესხური სიმღერები გაერთხმიანდა ამ კუთხის საქართველოში დაბრუნების შემდეგ;

- არაქართული მელოდიების ხვედრითი წილი მესხურში ბევრად დიდია, ვიდრე ჩვენებურების მუსიკაში;

ეს პარადოქსები მესხეთის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით უნდა აიხსნას.

მესხური სიმღერების მრავალხმიანობის საკითხს მესამე თავში ვეხები.

## 2.6 აჭარის თურქული ნაწილი

თურქეთში მცხოვრები აჭარლების სიმღერები უკანასკნელ წლებამდე ორხმიანი იყო. დღეს თვალშისაცემია ინეგოლელ აჭარელთა სიმღერების გაერთხმიანება – ისინი ზოგჯერ ბანის, ზოგჯერ კი ზედა ხმის გარეშე უღერს. მართალია, ფიქსირებულია ორხმიანი ვარიანტებიც, მაგრამ მათი ხვედრითი წილი საკმაოდ მცირეა. 1960-იან წლებში ჩაწერილი სიმღერების დიდი ნაწილი (მაგალითად, „ვოსა ვორერა“, „ალიფაშა“, „ფაჭვის სიმღერა“ და ა.შ.) უკვე გამქრალია.

საისტორიო თემატიკა შემორჩა ერთადერთ სიმღერას, „ალიფაშას“, ისიც მხოლოდ საწყის სტრიქონში. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ 50 წლის წინ ეს ნიმუში უკვე ფრაგმენტულად ახსოვდათ.

საქმროს სახლში დედოფლის წაყვანისას „დედოფლის სიმღერა“ იმღერება. საქორწინოა, ასევე, „ვინ მოგიტანა“. იგი წარმოადგენს პატარძლის დიალოგს მეგობრებთან. ჰაირიელი შევქეთ ავეულის ცნობით, ეს სიმღერა შავშურია (ჩაწერა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, ტრაპიზონის ტექნიკური უნივერსიტეტისა და სტამბულის ქართული კულტურის სახლის ექსპედიციამ 2015 წ.). ვფიქრობ, მამაკაცთა უნისონური გუნდის არსებობა სიმღერის შავშებისგან გავრცელებით უნდა აიხსნას.

საქორწინო სუფრაზე აუცილებლად ითქმებოდა სურსათ-სანოვაგის მოსათხოვი სუფრული „ვერიდა მასპინძელსა“.

ქორწილის განუყრელი ნაწილია ცეკვა. სამწუხაროდ, დასაკრავები ძირითადად ევროპული ტიპისაა, თუმცა სახელები ქართული შერჩენია (მაგ. „გადაქცეული ხორომი“).

„ფაჭვის სიმღერას“ ასრულებდნენ ყანაში სიმინდის მარგვლის დროს.

ჩაწერილია, ასევე, დატირებები, აკვნის ნანები.

თუკი სასიმღერო მრავალხმიანობა 1960-იან წლებში ფიქსირებული მასალაში კარგად არის დაცული, ამას ვერ ვიტყვით საკრავიერ მუსიკაზე. უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა აკორდეონი, რომელზეც ქართული მუსიკისთვის არატიპური მრავალხმიანობა უღერდა. თუმცა, მელაშიელის მიერ 1965 წელს ჩაწერილია საჭიბონე დასაკრავებიც, რომელთა ერთი ნაწილის ჰარმონიაც ქართულია, მეორე ნაწილში კი, მეშვიდე საფეხურის ნაცვლად, რატომღაც მეექვსე საფეხური უღერს.



რაც შეეხება ქობულეთიდან 1877-78 წლებში ფაცას რაიონში წასული მუჰაჯირების შთამომავლობას, ჩემ ხელთ არსებული მასალის მიხედვით, მათ ვოკალური მრავალხმიანობა დაეიწყებულა აქვთ, საკრავებიდან კი იყენებენ საზს („ბაღლამა“), რომელზე აჟღერებული ნიმუშებიც საგრძნობლადაა დაშორებული ქართული მრავალხმიანობისგან. ფიქსირებულია ოთხხმიანი ნადური სიმღერების ერთხმიანი ვარიანტები საზის თანხლებით.

## 2.7 ჩრდილოეთ კავკასია

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველები ცხოვრობდნენ რუსეთში, კერძოდ, მოზდოკისა და ყიზლარის რაიონის (ე. წ. თერგის ოლქის) ორ სოფელში: ალექსანდრონევესკაიასა (სასოფლო) და შელკოვსკაიაში (სარაფანი). ისინი ლეკიანობის დროს კახეთიდან, ხვეიდან, ქართლიდან და იმერეთიდან წასულთა შთამომავლები იყვნენ. მასობრივი გადასახლება მე-18-19 საუკუნეებში რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ყიზლარისა და მოზდოკის ქართველებს მრავალხმიანი სიმღერები ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდათ. კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა დააფიქსირა როგორც ერთ და ორ, ისე სამხმიანი სიმღერები, თუმცა სამხმიანობა ძირითადად ფრაგმენტულად უღერს, რადგან ხშირად ადგილი აქვს ბანის ფონზე ზედა ხმების მონაცვლეობას.

მოზდოკელი ქართველების სიმღერები წარმოდგენილია სამი ერთხმიანი და ერთი ორხმიანი ნიმუშით, ყიზლარის ქართველებისა კი – ერთ, ორ და სამხმიანი სიმღერებით. გვხვდება თითქმის ყველა ჟანრი (არ არის მხოლოდ სამგლოვიარო, საწესო და შრომის კოლექტიური ნიმუშები), რაც დამახასიათებელია ზოგადქართული ხალხური მუსიკისთვის.

ყიზლარის ქართველები რუსულ მუსიკასაც ასრულებდნენ. საკრავიერი ჰანგები ჩაწერილი არ არის, მაგრამ პოპულარული ყოფილა დაირა (Быркан) და „მუზიკა“ (გარმონი).

ეროვნული კოლორიტი მრავალხმიან სიმღერებში თითქმის უცვლელადაა შემორჩენილი, რასაც ვერ ვიტყვით ერთხმიან ნიმუშებზე.

ანალიზმა აჩვენა, რომ ჩვენ ხელთ არსებული ნიმუშების უმრავლესობაში მრავალხმიანობა გაბმული ბურდონით არის წარმოდგენილი. შენარჩუნებულია შესრულების ტრადიციული ორპირული ფორმა, კადანსები, მელოდიის ტიპები და სხვა. მრავალხმიანი ნიმუშები ძირითადად ორხმიანია. მათი უმეტესობა სოლისტების მონაცვლეობაზეა აგებული და რეალური სამხმიანობა მხოლოდ ყიზლარში ჩაწერილ „სუფრულსა“ და „აღილოში“ გვხვდება.

იმხანად ქართლში „ალილოს“ ჩაუწერლობის გამო არაყიშვილი ყიზლარსა და მოზდოკში ჩაწერილ ნიმუშებს კახურად განიხილავდა, თუმცა გადასახლებულთა ძირითადი ნაკადი რომ ქართლიდან იყო, ამას ადასტურებს როგორც ისტორიული, ისე ენათმეცნიერული თუ მუსიკალური მასალები.

## 2.8 საინგილო (ჰერეთი)

ჰერული სიმღერა ერთხმიანია. ნიმუშთა უმეტესობა არის ბავშვთა მიერ სათქმელი და, შესაბამისად, წამღერება-წადიდინება უფროა, ვიდრე სიმღერა ტრადიციული გაგებით. ნანის და დატირების გარდა, ჩაწერილი ნიმუშების უმრავლესობა ძალიან მოკლეა (რამდენიმეწამიანი). ადგილობრივი პუბლიცისტების მოსე ჯანაშიელისა და ბართლომე ხუციშვილის ცნობებსა და ასაკზე დაყრდნობით ვვარაუდობ, რომ ინგილოურ მუსიკას მრავალხმიანობა ჯერ კიდევ 1860-70-იან წლებში უნდა ჰქონოდა დაკარგული, მით უფრო, რომ 1931 წელს დაარსებულ სოფელ სამთაწყაროში (დედოფლისწყაროს რაიონი) ჩაწერილი სიმღერებიც ერთხმიანია.

ჰერეთში ფიქსირებული სიმღერებიდან ყველაზე „მღერადია“ დატირება და ნანა („ღაღ-ღაღ“ ან „ლაღ-ლაღ“).

ჰერეთში უმეტესად ქალები ტირიან („შატირევაღ“), თუმცა კახის რაიონის ქრისტიანულ სოფლებში გასვენების მოახლოებისას კაცებიც დაიტირებდნენ.

დატირების მსგავსი ნიმუში „წმინდა ბებრევი“ სრულდებოდა კახში წმინდა ბებრევის სამაროვანზე (სასაფლაოზე) (ჩავჭერე 2011 წ.).

ფიქსირებულია ბავშვის გამოსაღვიძებელი (უფრო სწორედ, გამოსაფხიზლებელი) ნიმუშები „თამბის“, „ღამბის“, „ცამფის“ სახელწოდებით. საერთოდ, ჰერეთი ძალიან მდიდარია საბავშვო ფოლკლორით – დაწყებული ჩიტის მიბაძვიდან, დამთავრებული საქორწინო ნიმუშებამდე (ჩავჭერეთ მე და მართა ტარტარაშვილმა 2011-13 წწ.).

საისტორიო თემატიკის მქონე ნიმუშები ძირითადად შემოიფარგლება თათრებისა და ლეკების საღანძღავი სიმღერებით, მათ შორის, აზერბაიჯანულ ენაზე (ჩავჭერეთ მე და მ. ტარტარაშვილმა 2011-13 წწ.). თამარ მეფისადმი მიძღვნილი სიმღერა, რომელსაც, ადგილობრივთა ცნობით, საზი („ჩუნგური“) უნდა ხლებოდა, ჩვენს ექსპედიციაში საკრავის გარეშე დაფიქსირდა.

აღდგომა დღეს ჰერული აშუღები „ჩუნგურით“ დადიოდნენ და ულოცავდნენ მოსახლეობას (ჩავჭერეთ მე და ტარტარაშვილმა 2011-12 წწ.).

რელიგიური თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა აზერბაიჯანულ ენაზე შესრულებული „იესო ქრისტეს ლოცვა“, რომელშიც იესოს მოღვაწეობაა ასახული.

ჰერეთში დავაფიქსირეთ საჭმლის გაკეთებისას, ვენახის გასხლეხისას, ქსოვისას შესასრულებელი სიმღერები, მაგრამ მათი უმეტესობა (გარდა ყანაში გადაძახილისა, მეურმის სიმღერისა და ოღოშისა) შრომის ჟანრში ვერ გაერთიანდება. ხსენებული ნიმუშები უფრო ლირიკული და სახუმაროა.

ნადის დროს უმეტესი ადგილი ეკავა შრომის რიტმის წარმმართველ გადაძახილებსა და ნაღარა-ზურნით შესრულებულ ნიმუშებს. ყანაში სათქმელი შრომის სიმღერები იშვიათი იყო. ასეთია თოხნის თანმხლები „ოპი, ყანა, ოპი“ (ჩავწერეთ მე და ტარტარაშვილმა 2012 წ.). „ოდოშუან წოვდეთ“ (ოდოშზე წავიდეთ) ოღოშის (პურის მწვანე თავთავი) მოსაკრეფად წასვლის დროს იმღერებოდა „ოდოშუან წოვდეთ“ (ჩავწერე 2011 წ.). დავაფიქსირე ასევე მეკალოებისა და მეხრეების დიალოგი – „ჰოუ, ჰა“.

*ქორწილს*, პატარძლის გამოსაყვანი სიმღერების გარდა, მუსიკალურ თანხლებას ნაღარა-ზურნა და დოლ-გარმონი უწევდა. მასშტაბის მიხედვით განასხვავებდნენ დიდ და პატარა ქორწილებს. დიდში ნაღარა-ზურნა უკრავდა, რადგან ეს საკრავები დიდი ზეიმის გამომხატველი იყო. პატარა ქორწილში დოლ-გარმონი უღერდა. გარმონზე უმეტესად ქალები უკრავდნენ. ასეთი ქორწილი ძირითადად იმართებოდა სინქარისა და ოჯახის ხელმოკლეობის შემთხვევაში, ასევე, მაშინ, როცა ერთ-ერთი მეწყვილე ქვრივი იყო.

ნაღარა-ზურნაზე, საზოგადოდ, წმინდა აზერბაიჯანულ-სპარსული მუსიკა იკვრება. ასეთივე ჰანგები უნდა შესრულებულიყო 4-5 სიმიან „ჩუნგურზეც“. გარმონზე, აზერბაიჯანულთან ერთად, ჩრდილოკავკასიური დასაკრავებიც უღერდა და მათი ქართულთან სიახლოვე ამით უნდა აიხსნას. 2-3 სიმიან ტანბურზე კი, ჩრდილოკავკასიურთან ერთად, ქართული მრავალხმიანი მუსიკაც is performed სრულდება.

ჰერეთში გავრცელებული საკრავიერი რეპერტუარი უმეტესად მოიცავდა საცეკვაო ჰანგებს: „სარბაშულს“, „თარაქამას“, „უზუნდერას“ და ა. შ.

ნაღარა-ზურნა, ისევე როგორც „ჩუნგური“, ჰერეთის ქართულენოვან სოფლებში 40 წელია აღარ გამოიყენება. დღეს ნაღარა-ზურნა (რომელზეც არაქართულენოვანი ჰერები უკრავენ), მხოლოდ გიორგობაზე უღერს.

რაც შეეხება სამთაწყაროს მუსიკალურ ფოლკლორს: დედოფლისწყაროს რაიონის ამ სოფელში დასახლების შემდეგ ჰერელთა სიმღერამ დეგრადაცია განიცადა, რაც, უმთავრესად, საყრდენი ტონის შეგრძნების დაკარგვაში

გამოიხატა. შეინიშნება ტრადიციული ინგილოური ტექსტების სხვა (მაგ. ქალაქურ) მელოდიაზე შესრულების ფაქტებიც. გვხვდება თავიდან ბოლომდე ლოგიკურად მქდერი ნიმუშებიც, მაგრამ ეს არც ისე ხშირია.

## **2.9 ფერეიდან**

სამწუხაროდ, ფერეიდანში დღემდე არ ჩატარებულა ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიცია. ჩემ მიერ 2011-12 წლებში საქართველოში ჩაწერილი ფერეიდნელების ცნობებიდან და არამუსიკოსთა მიერ 2007-12 წლებში ფერეიდანში მოპოვებული სიმღერა-დასაკრავებიდან ჩანს, რომ ფერეიდნელებისთვის ერთხმიანობაა დამახასიათებელი. დიდია საავტორო მუსიკის ხვედრითი წილი. ფიქსირებულია აკვნის ნანა. შემორჩენილი უნდა იყოს დატირებაც, თუმცა ზოგიერთი ეთნოფორი მის არსებობას უარყოფს (ჩავწერე 2012 წ.). ირანელ ეთნოლოგს, ბაბაკ რეზვანს მიაჩნია, რომ ფერეიდანში ფოლკლორი არ არსებობს, რასაც, რელიგიურთან ერთად, არისტოკრატიულ ფაქტორსაც აბრალებს, თუმცა ამ უკანასკნელს არ განმარტავს. შეუძლებელია, ფერეიდნელებს, აკვნის ნანებთან ერთად, არ ახსოვდეთ თუნდაც 2-3 ბგერიანი სხვა ჰანგები, რომლებსაც რეზვანი (სხვების მსგავსად) მუსიკად, ალბათ, არც თვლის.

საკრავებიდან ფერეიდანში ირანული ინსტრუმენტები, ძირითადად, სტვირი, ნადარა, საზი, დოლი და თარი არის გავრცელებული.

## **თავი III**

### **სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის მიზეზები და ჩვენებურების მუსიკალური ფოლკლორის ძირითადი ნიშან-თვისებები**

ნაშრომის ამ თავში კომპლექსურად განვიხილავ იმ ნიშანთვისებებს, რომლებიც საერთო ან მეტნაკლებად საერთოა ტაოური, შავშური, ლაზური, კლარჯული თუ ინგილოური ხალხური სიმღერებისთვის.

შავშების, ტაოელების, ლაზებისა და ჰერების სიმღერები უკვე გაერთხმიანებულია. ერთხმიანია კლარჯული სიმღერების ნაწილიც. თითქმის გაერთხმიანებულია ინეგოლის რ-ნის სოფ. ჰაირიესა და თუფეხჩიყონადის აჭარლების ხალხური სიმღერები.

სანამ ვოკალურ მრავალხმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადავიდოდე, საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას – არის თუ არა შენარჩუნებული ერთხმიან სიმღერებში ქართული ტიპის მელოდიკა და რა ადგილი უჭირავს მას.

### **3.1 ჩვენებურების ერთხმიანი ხალხური სიმღერის მელოდიკის ქართულობის საკითხისათვის**

ჩვენებურების ერთხმიან სიმღერებში გვხვდება როგორც ქართული სოფლური სიმღერისთვის ჩვეული, ისე მისთვის ნაკლებად დამახასიათებელი გადიდებულსეკუნდიანი და დასავლურ-ქალაქური მელოდიები. ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი არც ისე მცირეა, თუმცა წამყვანი ადგილი ქართულ მელოდიკას უჭირავს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორს შორის ხშირია მელოდიური მსგავსება. ამაზე მეტყველებს ლაზეთისა და ჰერეთის მაგალითი, რომლის რამდენიმე ნიმუში ჰგავს საქართველოს ფარგლებს შიგნით დარჩენილი კუთხეების სიმღერებს. ამ საკითხზე ყურადღება პირველად ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაყანიძემ გაამახვილა და სხვადასხვა კუთხეებში ერთნაირი მელოდიების არსებობა, მათი ზოგადქართულობით ახსნა.

### **3.2 ვოკალური მრავალხმიანობის ძველად არსებობის დამადასტურებელი არგუმენტები და ხმათა შემორჩენილი სახელები**

მიჩნეულია, რომ ვოკალური მრავალხმიანობა დიდი სტაბილურობით გამოირჩევა მაშინაც კი, როდესაც იცვლება ენა, რელიგია, სოციალური ცხოვრების წესი. მრავალხმიანობა მაინც რჩება, როგორც მუსიკალური ტრადიციის ყველაზე უფრო მყარი გენეტიკური კოდი. თუმცა აღიარებულია, რომ მრავალხმიანობა მსოფლიოში თანდათან იკარგება. ზოგიერთ რეგიონში ცნობილია მისი დაკარგვის მიზეზები. ძირითადად, ესენია: ბუნებრივი კატასტროფა (მაგალითად, მიწისძვრა), ომები, რელიგიური ფაქტორი და მთავრობის კულტურული პოლიტიკა.

ეთნომუსიკოლოგების – იოსებ ჟორდანიასა და ქეთევან ნიკოლაძის აზრით, სადაც მრავალხმიანი ჩასაბერი საკრავი არსებობს, იქ სიმღერაც აუცილებლად მრავალხმიანია. ასეთ კულტურებში საკრავიერი და ვოკალური მრავალხმიანობის ფორმებიც კი ემთხვევა ერთმანეთს.

საყურადღებოა, რომ ლაზეთში, ტაოსა და შავშეთში ვოკალური მრავალხმიანობა დაკარგულია, თუმცა შემორჩენილია მრავალხმიანი ჩასაბერი საკრავი, რაც ამ კუთხეებში უწინ ვოკალური მრავალხმიანობის არსებობასაც მავარაუდებინებს.

ვოკალური მრავალხმიანობის სტაბილური ბუნებისა და ჩასაბერი მრავალხმიანი საკრავების გარდა, საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხის სიმღერის მრავალხმიანობას გვაფიქრებინებს კიდევ ერთი ფაქტორი – ფარული მრავალხმიანობა. იგი ვლინდება მელოდიაში კილოს დაბალი მეშვიდე საფეხურის გაჩენით (და, ხშირ შემთხვევაში, აქცენტირებით) და სიმღერისა და სტროფების დასაწყისში აღმავალი ნახტომით, რომლის შედეგადაც მოქმელი თითქოს ორ ხმას მღერის მონაცვლეობით. კილოში მეშვიდე საფეხურის აქცენტირება ყველაზე მეტად მიუთითებს მრავალხმიანობის ფარულ მოთხოვნაზე.

ფარულ მრავალხმიანობასთან ერთად, მნიშვნელოვანია ასევე ხმათა რეგისტრების აღმნიშვნელი ტერმინებიც, მაგ. „წიპლაანკ (წიწლაანკ) კმაჲ“ და „წმინდა ხმა“ – ზედა ხმა; „ბერ კმაჲ“ – ბანი და სხვ.

### **3.3 სიმღერის გაერთხმიანების შესაძლო მიზეზები**

რა არის ჩვენებურთა მუსიკალურ ფოლკლორში მრავალხმიანობის დაკარგვის მთავარი მიზეზი? ომები? ბევრმა რეგიონმა ომების მიუხედავად დღემდე შეინარჩუნა მონოეთნიკურობა და ნაწილობრივ ქართული ენაც. ურბანიზაცია? შესაძლოა, კლარჯული და აჭარული სიმღერების ბოლომდე გაერთხმიანება მართლაც ურბანიზაციის შედეგი იყოს, მაგრამ ტაოსა და შავშეთის მხარეები ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა ურბანიზაციისგან. რადიო და ტელევიზია? რადიო ბევრ სოფელში 60-65 წლის წინ გამოჩნდა, ტელევიზია კი – უფრო მოგვიანებით.

თურქული მუსიკის რომელმა შტომ მოახდინა ჩვენებურებზე ყველაზე დიდი გავლენა – ხალხურმა, პროფესიულმა თუ სასულიერომ? ხალხურმა? – ქართველენოვანი სოფლების ირგვლივ უმეტესად თურქულენოვანი ქართველები ცხოვრობენ. საერო პროფესიულმა? – მუსიკალური განათლების დონე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე საკმაოდ დაბალია. ჩემი აზრით, გავლენა, უპირველესად, მუსლიმურ სასულიერო მუსიკას უნდა მოეხდინა, რადგან მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწყო ჩვენებურების გამუსლიმანება – იხსნებოდა მედრესეები, მღვდლებს ხოჯები ჩაენაცვლნენ, თუმცა მოსახლეობამ ისლამი ძალდატანებით და თანდათანობით მიიღო.

ჰერეთის შემთხვევა ცალკეა გამოსაყოფი. როგორც ჩანს, ისტორიის მანძილზე ყველაზე მეტად ამ კუთხემ განიცადა აოხრება. ალბათ, ამიტომაცაა, რომ საინგილოში, ძირითადად, საბავშვო და ბავშვთა მიერ სათქმელი ნიმუშებიდაა შემორჩენილი.

### 3.4 სიმღერის გაერთხმანების გზა

როგორც კლარჯეთში მცხოვრებთა, ისე ამ კუთხიდან 1870-1910-იან წლებში მუჰაჯირად წასულთა შთამომავლების მიერ შესრულებულ ორხმიან სიმღერებს ახასიათებს სეკუნდების ტოტალური პარალელიზმი, რასაც საერთო არ აქვს ქართულ მრავალხმიანობასთან. ისმის კითხვა: არის თუ არა კლარჯული სეკუნდური ორხმიანი სიმღერები ქართული სიმღერის გაერთხმანების გზა? ამ მიზნით გავეცანი მალრაძის მიერ 1960-იან წლებში ჩაწერილ მესხურ სიმღერებს. აღმოჩნდა, რომ ქართული მუსიკისთვის ტრადიციული ბურდონული ბანის (I-VII-I) გარდა, წარმოდგენილი იყო კვარტებისა და კვინტების პარალელიზმი, თანაც – ქართული მუსიკისთვის მეტად უჩვეულო ხმათასვლით. როგორც ცნობილია, მესხეთში მრავალხმიანი სიმღერის უკანასკნელი შესრულების თარიღები არ სცილდება XIX-XX საუკუნეების მიჯნას. ჩაწერილ სიმღერებში ხმათა შეხამება თითქმის ყოველთვის სრულიად გააზრებულია და არა შემთხვევითი. მართალია, სეკუნდებისა და კვარტების პარალელიზმი ქართულ საეკლესიო საგალობელშიც გვხვდება, მაგრამ ის მალევე განიტვირთება კონსონირებულ ინტერვალებში. ამგვარად, მესხური არატრადიციული მრავალხმიანობის ნიმუშები, კლარჯულთან ერთად, ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაერთხმანების გზად უნდა განვიხილოთ.

ჩხიკვაძეს მოაქვს ცნობა მესხური ორხმიანი ბურდონული სიმღერების, უმთავრესად, სუფრულების არსებობის შესახებ. ჩვენ ამგვარი მხოლოდ საფერხულო ნიმუშები მოგვეპოვება, სუფრულებში კი მხოლოდ ხმათა პარალელიზმია დაფიქსირებული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პარალელი ღაზურ სიმღერასთან. ვგულისხმობ ყასიმ ბეჟანიძის მიერ 1900-10-იან წლებში მოსმენილი ბურდონული, და ჩხიკვაძისა და მამისაშვილის მიერ 1951 წელს მოსმენილი პარალელური მრავალხმიანობის ნიმუშებს. ეს ყველაფერი გაერთხმანების გზად მიმაჩნია.

2015-17 წლებში ჩემ მიერ მოპოვებული კლარჯული მასალების შესწავლის შედეგად აშკარაა პარალელები კლარჯულ, ლიტვურ და ალბანურ სეკუნდურ სიმღერებს შორის. მათი შედარებითი კვლევა ამ ნაშრომის

ფარგლებს სცილდება და სამომავლო საქმეა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მურღულის ხეობის მეზობლად დღემდე მარტო ქართველები ცხოვრობენ.

კლარჯული მუსიკალური ფოლკლორი ზოგადქართულის ორგანული ნაწილია. ამაზე მეტყველებს: 1) კლარჯული, მათ შორის, მურღულური ერთხმიანი სიმღერების ქართული მელოდიკა და ფარული მრავალხმიანობის სიხშირე; 2) კლარჯულ სააკორდეონე მუსიკაში „ქართული მრავალხმიანობის“ კვალის არსებობა.

### **3.5 ჩვენებურების ხალხური სასიმღერო მრავალხმიანობის დაკარგვის სავარაუდო დრო და ზოგან მრავალხმიანობის შემორჩენის სავარაუდო მიზეზები**

ჭიჭინაძის, ბაქრაძის, ჩხიკვაძის, გარაყანიძისა და ჩემ მიერ მოპოვებული ცნობებიდან ირკვევა, რომ შავშები და ლაზები მრავალხმიან სიმღერებს ჯერ კიდევ მღეროდნენ 1910-იან წლებში. შესაბამისად, ამ სიმღერების მომსწრე თაობა 1980-90-იან წლებში უნდა გარდაცვლილიყო. რაც შეეხებათ კლარჯებს, ჭიჭინაძისა და პუბლიცისტი ივანე ჯაიანის ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობების შეჯერების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ 1880-90-იან წლებში, კლარჯეთის ზოგიერთ სოფელში მაინც, „ქართული მრავალხმიანობა“ ჟღერდა.

